პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალგაზრდა სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, კომკავშირის კომიტეტისა და პროფკომის ორგანო

Ахалгазрда Сталинели — орган парткома, ректората, комитета ЛКСМ и профкома Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

გამოცემის მერვე წელი

№ 8 (250)
შაბათი,
4
აპრილი,
1959 წ.
ფასი 20 კაპ.

# როცა იდეოლოგიურ-პოლიტიკური მუშაობა ჩამორჩება

ახლა, როდესაც მთელი ჩვენი ქვეყანა ჩაბმულია სკკპ XXI ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული პროგრამის განხორციელების საქმეში, განუზომლად დიდია მასებში იდეურ-პოლიტიკური მუშაობის როლი. ამიტომაა, რომ საბჭოთა მოქალაქეები, როგორც კომუნისტები, ისე უპარტიოები, ებმებიან რა პარტიული განათლების სისტემაში, აქტიურად მუშაობენ მის რომელსამე ფორმაში. მაგრამ ამ მიმართულებით სუსტი მუშაობა იგრძნობა ჩვენი უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრაზე (გამგე ამხ. ლ. ყანჩაველი, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. დ. ქამუშაძე).

შემოწმებამ და კათედრის თანამშრომლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ რიგი მასწავლებლებისა სისტემატურად არ კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებს, გულდასმით არ სწავლობენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილებებს, ცუდად ერკვევიან ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებში (ო. ქორქია, ტ. მესხი, ა. კონსტანტინოვი, თ. ფურცელაძე, სირბილაძე, ლალიაშვილი, კობაიძე).

კათედრასთან არსებული პირველადი პარტიული ორგანიზაცია სუსტად მუშაობს კათედრის თანამშრომელთა შორის იდეურ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის. წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის ფორმა, რომლითაც თითქოს იმაღლებენ თავიანთი პოლიტიკური მომზადების დონეს კათედრის თანამშრომლები, ამ შემთხვევაში ფორმალურ ხასიათს ატარებს. კათედრის პარტიული ორგანიზაცია ნაკლებადაა დაინტერესებული, თუ ფაქტიურად რას აკეთებენ წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგები. კათედრის თანამშრომლებთან არ ტარდება ლექცია-მოხსენებები, თეორიული კონფერენციები და სხვა ღონისძიებანი პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით.

სწორედ იდეურ-პოლიტიკური მუშაობის დაბალი დონის შედეგია, რომ კათედრის თანამშრომელთა ერთი ნაწილი პასუხისმგებლობით არ ეკიდება სამსახურებრივ მოვალეობას, დაკისრებულ საქმეს. ამის გამო კათედრაზე სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას, პირველ რიგში, სპორტსმენებთან ფაკულტატური მუშაობა. მცირეა სპორტულ სექციებში გაერთიანებულ სტუდენტთა რაოდენობა, რაზეც სამართლიანად იქნა აღნიშნული საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის ბიუროზე. მეტად მცირეა სექციებში III — V კურსების სტუდენტთა რიცხვი. ხშირ შემთხვევაში კათედრის უყურადღებობის გამო თანრიგოსანი სპორტსმენები III კურსზე გადასვლის შემდეგ თავს ანებებენ სექციურ მეცადინეობას და ფაქტიურად წყდებიან სპორტს, ეს კი სათანადო უარყოფით გავლენას ახდენს ჩვენი სპორტული კოლექტივების სიძლიერეზე. კიდევ მეტი, უკვე ჩამოშორდნენ სექციურ მუშაობას პირველკურსელი ძალოსანი ჰკადუა და მეორეკურსელი ცინცაძე; ასევე, ჭიდაობის სექციას — 8 თანრიგოსანი სტუდენტი, ხოლო ფარიკაობის სექციაში სისტემატურ წვრთნას არ გადიან და ფაქტიურად ჩამოშორების გზას ადგიან ერთი — სპორტის ოსტატი და ხუთი — პირველთანრიგოსანი.

გასულ სასწავლო წელს პარტიულმა კომიტეტმა ორჯერ შეამოწმა აღნიშნული კათედრის მუშაობა, იმსჯელა მის ნაკლოვანებებზე და მიიღო სათანადო დადგენილებანი, მაგრამ მათი შესრულება კათედრამ ვერ უზრუნველყო. კერძოდ, სექციურ მუშაობაში, ისევე როგორც წინათ, რიგ შემთხვევაში ადგილი აქვს მოტყუებისა და თვალისახვევის ცდებს. ასე, მაგალითად, შემოწმებისას გამოირკვა, რომ ველოსპორტის სექციაში ფაქტიურად მეცადინეობს 5—6 კაცი, მწვრთნელი ჯინჯოლიანი კი, რომელიც 4 ჯგუფის ანაზღაურებას იღებს, ჟურნალებში მეცადინეობაზე სისტემატურად დამსწრეებად აღნიშნავს ისეთ სტუდენტებსაც, რომლებიც სექციას უკვე ორი წელია აღარ გაჰკარებიან (მაგ., ხახიაშვილი, ხუციშვილი).

ჯგუფების ხელოვნურად გაზრდის ფაქტებს ადგილი აქვს აგრეთვე ცურვის სექციაში, ხოლო სრულებით არ მუშაობენ ჩოგბურთისა და ნიჩბოსნობის სექციები. ყველა ამ ფაქტის წინაშე რატომღაც თვალს ხუჭავს კათედრის გამგე ამხ. ლ. ყანჩაველი.

პარტიულმა კომიტეტმა გასულ წელს ამხ. ყანჩაველს დაავალა სექციურ მეცადინეობაზე სტუდენტთა დასწრების აღრიცხვაზე ლაბორანტებისა და პრეპარატორების მეშვეობით დაეწესებინა მკაცრი კონტროლი. პირველ ხანებში ასეთი კონტროლი შემოღებულ იქნა, მაგრამ შემდეგში რატომღაც საჭიროდ აღარ ჩათვალეს იგი და შედეგად კათედრა აღმოჩნდა თვალისახვევის ზემოდასახელებული ფაქტების წინაშე.

ასევე არ შეასრულა კათედრამ პარტიული კომიტეტის დადგენილება იმის შესახებ, რომ აღედგინა უნივერსიტეტში სპორტის ისეთი ნაციონალური სახე, როგორიცაა ქართული ჭიდაობა, და რომელსაც კარგი ტრადიციები ჰქონდა ჩვენს უნივერსიტეტში.

ცუდია კათედრის წევრთა შორის კოლეგიალობა და ურთიერთთანამშრომლობაც. ასე, მაგალითად, გასულ წელს ზემდგომი ორგანოების მიერ კათედრის თანამშრომელი ამხ. ბ. ტყეშელაშვილი 10 თვით იქნა მივლინებული მახარაძის რაიონში. ამ პერიოდში მძლეოსანთა იმ ჯგუფებთან, რომლებიც ამხ. ტყეშელაშვილს ეკუთვნოდა, კათედრის წევრთაგან მუშაობა არავის ჩაუტარებია და მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ ტყეშელაშვილს დიდი მუშაობა დასჭირდა განთესილი სპორტსმენების სპორტულ მეცადინეობაში ჩასაბმელად.

კათედრა რიგ შემთხვევებში ცუდად ხელმძღვანელობს სხვადასხვა შეჯიბრებებში ჩვენი სპორტული კოლექტივების ორგანიზებულად გაყვანის საქმეს. მიმდინარე წლის იანვარში ბაკურიანში ჩატარებულ შეჯიბრებაზე ჩვენი მოთხილამურეთა კოლექტივი მოუმზადებლად წარდგა. კიდევ მეტი: იგი ხელმძღვანელის გარეშე გაიგზავნა, ხოლო ყოველივე ამან მისი არასასურველი შედეგი განაპირობა.

მიმდინარე წლის იანვარში უნივერსიტეტის ვაჟ კალათბურთელთა ნაკრებს უნდა ეთამაშნა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ნაკრებთან კონსტიტუციის თასზე, მაგრამ კათედრის უხეირო მუშაობის გამო გუნდი ვერ გამოცხადდა შეჯიბრებაზე და დამარცხება ჩაეთვალა.

კათედრა ვერ ასრულებს თანრიგოსან სპორტსმენთა მომზადების სახელმწიფო გეგმებს, ხოლო ზოგ შემთხვევაში ამ მიმართულებით ფორმალობა შეიმჩნევა.

კათედრა არ ატარებს სპორტულ საღამოებს, იშვიათად ეწყობა საფაკულტეტო ან ფაკულტეტთაშორისი შეჯიბრებანი (გარდა სპარტაკიადებისა), ყოველივე ამან განაპირობა სპორტის ნაკლები პოპულარიზაცია სტუდენტთა შორის და ჩვენი უნივერსიტეტის სპორტული ტრადიციებიდან საგრძნობი უკანდახევა. ამასვე ცხადყოფს ამჟამად მიმდინარე საუნივერსიტეტო სპარტაკიადა, რომლის შესახებ ბევრმა არც იცის მისი უფერულად და უინტერესოდ მომზადებისა და ჩატარების გამო.

ნაკლოვანებები შეიმჩნევა პირველ კურსზე ჩარიცხულ სპორტსმენ-სტუდენტებთან მუშაობის დარგში, ხოლო ზოგი თანრიგოსანი პირველკურსელი ან არ მუშაობს, ანდა ჩამოშორდა შესაბამის სპორტულ სექციას.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის მუშაობაში არსებულ ამ ნაკლოვანებათა შესახებ იმსჯელა უნივერსიტეტის პარტიულმა კომიტეტმა და ქმედითი ღონისძიებანი დასახა მათ აღმოსაფხვრელად. შექმნილი მდგომარეობის გამო კათედრის პარტორგანიზაციის მდივანს ამხ. დ. ქამუშაძეს და კათედრის გამგეს ამხ. ლ. ყანჩაველს დაადო პარტიული სასჯელი, ხოლო უნივერსიტეტის რექტორატის წინაშე დააყენა საკითხი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გადახალისების შესახებ.

# ფესტივალის წინ

სტუდენტ ახალგაზრდობაში კულტურულ-მასობრივი და ფიზკულტურული მუშაობის გაფართოების, გაძლიერებისა და ახალი ძალების გამოვლინების მიზნით ტარდება უნივერსიტეტის II ფესტივალი.

ფესტივალის ორგანიზებულად და კარგად ჩატარებისათვის შექმნილია საორგანიზაციო კომიტეტი, ხოლო მხატვრული კონკურსებისა და საფაკულტეტო თვითმოქმედი საღამოების შეფასებისათვის — საუნივერსიტეტო ჟიური.

ფესტივალი გაიხსნება პარასკევს, 17 აპრილს, დღის 3 საათსა და 30 წუთზე უნივერსიტეტის ეზოში. ხოლო მისი საზეიმო დახურვა მოხდება კვირას, 19 აპრილს. გახსნის დღეს მოეწყობა ფესტივალის მონაწილეთა აღლუმი. აღლუმის შემდეგ სპორტულ მოედნებზე ჩატარდება საჩვენებელი შეხვედრები კალათბურთში, ფრენბურთში, ქართულ ჭიდაობასა და სპორტულ ტანვარჯიშში. იმავე დღეს, საღამოს 8 საათზე მოეწყობა ფაკულტეტების მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერება. ფესტივალის დახურვის დღეს, 19 აპრილს, დღის 6 საათზე უნივერსიტეტის პირველ კორპუსში მოეწყობა სტუდენტი ახალგაზრდობის საღამო თემაზე — „ახალგაზრდობის გაზაფხული".

ამჟამად უნივერსიტეტის სპორტულ მოედნებზე მიმდინარეობს საუნივერსიტეტო X სპარტაკიადა, რომელიც 12 აპრილამდე გასტანს. ვინაიდან საუნივერსიტეტო სპარტაკიადის შემდეგ ეწყობა სტუდენტთა საქალაქო სპარტაკიადა, ამიტომ ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია X სპარტაკიადაზე გამარჯვებულ ფაკულტეტებს და პირად პირველობაში გამარჯვებულებს მიანიჭოს უნივერსიტეტის სტუდენტი ახალგაზრდობის II ფესტივალის ჩემპიონის წოდება და დააჯილდოვოს ისინი საორგანიზაციო კომიტეტის მიერ დაწესებული პრიზებითა და დიპლომე-

ფესტივალის ორგანიზებულად და კარგად ჩატარებისათვის საჭიროა ფაკულტეტების პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები მეტი მონდომებით მოეკიდონ ფესტივალისათვის მზადებას. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ყველა ფაკულტეტი მთელი ინტენსივობით როდი ემზადება ამ ღირსშესანიშნავი ღონისძიებისათვის. ჯერ კიდევ მარტის თვის ბოლოს ძლიერ ცოტა ჰქონდათ გაკეთებული გეოგრაფია-გეოლოგიის (პროფბიუროს თავმჯდომარე ლუკიანოვა, ალკკ ბიუროს მდივანი გ. მარგველანი), აღმოსავლეთმცოდნეობის (პროფბიუროს თავმჯდომარე თუთარაშვილი, ალკკ ბიუროს მდივანი მ. ივანიშვილი), ბიოლოგიის (პროფბიუროს თავმჯდომარე ნ. იაშვილი, ალკკ ბიუროს მდივანი ი. გრძელიძე), დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის (პროფბიუროს თავმჯდომარე ე. ჩხენკელი, ალკკ ბიუროს მდივანი ი. ფხაკაძე) და იურიდიული (პროფბიუროს თავმჯდომარე ხუნდაძე, ალკკ ბიუროს მდივანი ნ. ქავთარაძე). ფაკულტეტებს.

ამასთან, კარგა ხანია მზადებას შეუდგნენ ეკონომიური (პროფბიუროს თავმჯდომარე შ. კიკაბიძე, ალკკ ბიუროს მდივანი რ. ჯავახიშვილი), ფიზიკის (პროფბიუროს თავმჯდომარე ი. ვაშაყმაძე, ალკკ ბიუროს მდივნები ა. კვაჭანტირაძე, ნ. ჭიაბრიშვილი), ფილოლოგიის (პროფბიუროს თავმჯდომარე მ. სარალიძე, ალკკ ბიუროს მდივანი ზ. მეძველია), ქიმიის (პროფბიუროს თავმჯდომარე ც. თურმანიძე, ალკკ ბიუროს მდივანი გ. ჯიბლაშვილი), ისტორიის (პროფბიუროს თავმჯდომარე კაპანაძე, ალკკ ბიუროს მდივანი მეტრეველი) ფაკულტეტები.

II ფესტივალის ჩატარების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების რეპერტუარს. ამ ბოლო დროს შეიმჩნევა ახალგაზრდობის ერთი ნაწილის გატაცება მსუბუქი, ჯაზური მუსიკით. ჩვენ მსუბუქი მუსიკის წინააღმდეგი არა ვართ, მაგრამ ზომას არ უნდა გადავაჭარბოთ. ფესტივალის გახსნამდე ცოტა დრო დარჩა, ამიტომ ფაკულტეტების ხელმძღვანელებმა ახლავე უნდა მიაქციონ ყურადღება თვითმოქმედი კოლექტივების მუშაობას. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ფაკულტეტების მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების რეპერტუარში თვალსაჩინო ადგილი ეჭიროს ქართულ ხალხურ სიმღერებსა და ცეკვებს, აგრეთვე საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებებს. მხატვრული კოლექტივების, ინდივიდუალური შემსრულებლების რეპერტუარში სასურველია ფართოდ იყოს გაშუქებული ჩვენი ახალგაზრდობისა და სტუდენტების ცხოვრება. ფესტივალის მიზანია, რაც შეიძლება მეტი სტუდენტის ჩაბმა ამ ღირსშესანიშნავ ღონისძიებაში.

ფაკულტეტების საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, კედლის გაზეთების რედაქტორებთან ერთად გაზეთების სპეციალური ნომრები უნდა მიუძღვნან ფესტივალს.

ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რათა ორგანიზებულად შევხვდეთ და წარმატებით ჩავატაროთ ფესტივალი.

**ა. მელიქიძე,**
სტუდენტთა პროფკომის თავმჯდომარის მოადგილე.

**ზ. გაბუნია,**
ალკკ კომიტეტის მდივნის მოადგილე.

## ყურადღება!

## კონკურსი

**ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის II ფესტივალთან დაკავშირებით ცხადდება სტუდენტთა შემოქმედებითი კონკურსი. კონკურსის თემაა: ახალგაზრდობა, მეგობრობა, მშვიდობა, სამშობლო.**

**კონკურსი ცხადდება:**

**1. საუკეთესო მუსიკალური ნაწარმოებისათვის — ერთი პირველი და ორი მეორე პრემია.**

**2. საუკეთესო ლიტერატურული ნაწარმოებისათვის (ლექსი, მოთხრობა, ნოველა, ნარკვევი) — ერთი პირველი, ორი მეორე პრემია.**

**3. საუკეთესო სკეტჩისათვის, ერთმოქმედებიანი პიესისათვის—ერთი პირველი, ორი მეორე პრემია.**

**4. საუკეთესო ფოტო-ეტიუდისათვის—ერთი პირველი, ერთი მეორე და ერთი მესამე პრემია.**

**5. საუკეთესო გრაფიკული და ფერწერული ნამუშევრისათვის — ერთი პირველი, ორი მეორე პრემია.**

**კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს, ახალგაზრდა მასწავლებელსა და თანამშრომელს.**

**კონკურსის მასალები უნდა ჩაბარდეს ფესტივალის საორგანიზაციო ბიუროს (პროფკომში) დევიზით — კონკურსისათვის.**

**კონკურსის ვადაა ა. წ. 1 მაისამდე.**

**კონკურსში გამარჯვებულებს გადაეცემათ პრემიები და მიენიჭებათ უნივერსიტეტის II ფესტივალის ლაურეატის წოდება.**

**ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტი.**

## ბიოლოგებთან

**სურათზე:** ბიოლოგიის ფაკულტეტის ფრიადოსანი სტუდენტები — ტ. ავალიანი (მარცხნივ) და ნ. კაშია (მარჯვნიდან მეორე) პროფ. ალ. ლეჟავას (მარჯვნიდან პირველი) და ასისტენტ ე. არზიანის მეთვალყურეობით ასრულებენ ლაბორატორიულ სამუშაოებს.

ფოტო ა. გემჯიანისა



1809

# დიდი რუსი შემოქმედი

1959



## ПОЧЕМУ МЫ ЛЮБИМ ГОГОЛЯ

Н. В. Гоголя великого русского писателя нельзя не любить. Его можно читать и перечитывать без конца и всегда с неослабевающим интересом. „Тарас Бульба", „Ревизор", „Мертвые души" бессмертны в сердцах и памяти потомства.

В фундаменте того величественного здания, которому имя Советский Союз, имеется добротно обожженный кирпич, положенный Н. В. Гоголем.

Произведения Гоголя—немеркнущая слава того народа, из недр которого вышел этот самородок.

Язык Гоголя — это меткое русское слово, порою легкое как перышко, возвышающее, увлекающее, уносящее ввысь, порою тяжелое как свинец, давящее, уничтожающее, сравнивающее с землею, порою пристающее навсегда, на всю жизнь без надежды на избавление от него.

Сколько было у каждого из нас случаев, когда мы пользовались и доныне пользуемся готовыми, чеканными гоголевскими предложениями и отдельными выражениями, как нельзя лучше и метко характеризующими или лицо, или предмет, или сложившуюся вокруг нас обстановку.

Гоголь заставляет смеяться, но никто другой не заставляет в то же время так упорно спрашивать себя — над чем же смеешься, читатель?

Н. В. Гоголя нельзя не любить, нельзя не любить за то неоцененное наследие, которое он оставил навечно советскому человеку, всему передовому человечеству.

Дм. МГЕЛАДЗЕ

## გოგოლის სამწერლო ენა

დოც. თ. მრევლიშვილი

მე-19 საუკუნის 40-იან წლებში პუშკინის შემდეგ რუსული ლიტერატურის განვითარებაში წამყვანი ადგილი უკავიათ ლერმონტოვსა და გოგოლს.

გოგოლის შემოქმედება მომწიფდა და განვითარდა პუშკინის შემოქმედებასთან მჭიდრო კავშირში.

საერთო რუსულ სალიტერატურო ენაზე დამყარებით აყალიბებდა რა თავის სამწერლო ენას, გოგოლი ახდენდა მის შემდგომ დემოკრატიზაციას, რისთვისაც იგი მიმართავდა ცოცხალ, ხალხურ სასაუბრო ენას, მის ხატოვან გამოთქმებს.

ბელინსკი აღნიშნავდა, რომ „გოგოლმა მიმართულება მისცა ჩვენი დროის პროზაულ ლიტერატურას. ისევე, როგორც ლერმონტოვმა მისცა მიმართულება უკანასკნელი დროის პოეტურ ლიტერატურას, და გოგოლის მიერ მიცემული მიმართულება განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ლიტერატურისა და ენისათვის..."

გოგოლმა პუშკინის მსგავსად გვიჩვენა, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ საერთოსახალხო რუსული ენის საგანძური, როგორ უნდა გავამდიდროთ სალიტერატურო ენა სასაუბრო მეტყველების ნიადაგზე.

ხალხურ შემოქმედებაში და ენაში გოგოლი ხედავდა რუსული ეროვნული ლიტერატურის, რუსული ლიტერატურული ენის განვითარების წყაროს. იგი განარიდებდა რუსულ სალიტერატურო ენას მემამულურ-არისტოკრატიული ტენდენციებისაგან.

გოგოლი ასახავდა უბრალო, „პატარა" ადამიანების ყოველდღიურ სინამდვილეს, ხოლო ამისათვის მას ესაჭიროებოდა სადა, არახელოვნური ენა, რომელშიაც მან ფართოდ შეიტანა ხალხური მეტყველების, სხვადასხვა ჟარგონებისა და პროფესიონალიზმის ელემენტები. აქედან გასაგებია, თუ გოგოლმა რამდენად უფრო თავისუფლად და ღრმად, ვიდრე პუშკინმა და მისმა სხვა წინამორბედებმა, გამოიყენა თავის მხატვრულ შემოქმედებაში ხალხური სასაუბრო ენის ყველა მრავალმხრივობა და ფართო გზა გაუხსნა ლიტერატურაში იმ დიალექტურ ელემენტებს, რომლებიც შემდეგში სალიტერატურო ენის ლექსიკონშიაც შევიდნენ.

გოგოლის მხატვრულ ნაწარმოებში შეიმჩნევა სამეტყველო საშუალებათა შერჩევა, ერთი მხრით, პერსონაჟთა მეტყველებისათვის, მეორე მხრით, ავტორისეული თხრობისათვის. რუსულ ლიტერატურაში რეალიზმის უმნიშვნელოვანეს მიღწევას წარმოადგენს გმირის შინაგანი სამყაროს გახსნა მისი მეტყველების მეოხებით.

ზეპირი სასაუბრო ენის ინტონაციისა და კონსტრუქციის მოხდენილად გამოყენებით გოგოლი ოსტატურად აგებს დიალოგებს, ფართოდ იყენებს რა დიალოგის ფორმას, გოგოლი შესაფერისი სამეტყველო მასალის, აგრეთვე ინტონაციის, მიმიკის, ჟესტების, როგორც წინადადების დამატებითი კომპონენტების შერჩევის მეოხებით ახდენს პერსონაჟთა მეტყველების ინდივიდუალიზებას, აღწევს ნათელი, ტიპიური, ცოცხალი სახეების შექმნას.

ყველაფერი, რაც ახასიათებს ხალხის წრიდან გამოსულთა მეტყველებას (უბრალოება, ემოციურობა, სისხარტე და ხატოვნება. შესაფერისი ლექსიკა, გრამატიკული სტრუქტურა და ბგერითი თავისებურებანიც კი), ასახვას პოულობს მწერლის მიერ დიალოგების აგებისას, გმირის სამეტყველო თავისებურებათა შექმნისას.

მკითხველის წინ უწყვეტ ნაკადად მოედინებიან გოგოლის მოთხრობების მოქმედი პირები და ავტორი თვითეულ მათგანს აღჭურავს მეტყველების ტიპიური მანერებით, თვითეული მათგანისათვის პოულობს დამახასიათებელ სიტყვებსა და გამოთქმებს, ისე რომ მკითხველი ყველა ამ პირს შეიგრძნობს როგორც ცოცხალს.

გოგოლის მხატვრული ხერხები და ენობრივი საშუალებანი მრავალფეროვანია. ისევე როგორც პუშკინი, გოგოლიც მიმართავს სხვადასხვა სოციალური გარემოს ტიპიურ წარმომადგენელთა ლიტერატურულ მთხრობელად გამოყვანის მხატვრულ ხერხს. ასეთმა ხერხმა გამოიწვია მხატვრული ლიტერატურის ენაში ცოცხალი მეტყველებისა და სხვადასხვა დიალექტური ელემენტების შეჭრა.

ასე მაგალითად, მოთხრობებში „საღამოები დიკანკის მახლობელ ხუტორში" მთხრობელების — პანკო რუდოისა და განსაკუთრებით, დიაკვნის, თომა გრიგორიევიჩის მეტყველებაში გოგოლს უხვად შეაქვს არა მარტო უკრაინული, არამედ რუსული ხალხური სამეტყველო ენის მრავალფეროვანი ელემენტები, რომლებიც თავისებურად ახასიათებენ მთხრობელს და მის ენობრივ თავისებურებებს.

პანკოს, რომელიც მწერალს „საღამოების" გამომცემლად და თვითეული მისი ნაწილის წინასიტყვაობის ავტორად ჰყავს გამოყვანილი, უყვარს უბრალო და მოსწრებული საუბარი. მას არ მოსწონს დიდკაცობა, არ უყვარს „მასხარა ბატონიშვილი" — პანიჩი, რომელიც ლაპარაკობს გაუგებრად და დახლართულად.

წინასიტყვაობაში აღნიშნულია განსხვავებანი, ერთი მხრით, თომა გრიგორიევიჩისა, რომლის მხარეზეა რუდოი პანკოც, და, მეორე მხრით, პოლტაველ მასხარა პანიჩს შორის, რომელიც დიდებულთა წრეს ეკუთვნის და წიგნური ენის მომხრედ გამოდის.

„საღამოებში" მშვენივრადაა შერწყმული რომანტიკული ფერადოვნობა და რეალისტური ტენდენციები, უბრალო ხალხური სტილი და რომანტიზმის წიგნური ენა, რომელსაც გოგოლი წინა ეპოქიდან სესხულობს.

ლირიკულ პეიზაჟებში უკრაინის ცხოვრების ბრწყინვალედ დახატული სურათებია მოცემული. ცოცხლად, რეალურად არის გადმოცემული სოფლური ყოფაცხოვრების ავი და კარგი, მხიარული ბიჭებისა და გოგოების სიყვარული და გართობა, უბრალო ხალხისათვის დამახასიათებელი იუმორი და მოსწრებული სიტყვა.

სტილისტური სხვადასხვაობა იგრძნობა გოგოლის სხვა ნაწარმოებებშიც. ეს გამოწვეულია ავტორის მისწრაფებით, ენის სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით მიაღწიოს აზრობრივსა და ემოციურ გამომსახველობას.

დიდი მწერლის მიერ ხალხური ენობრივი საუნჯის დამუშავებისა და გამოყენების სათანადო შესწავლა ხელს უწყობს რუსული ენის საერთო განვითარებისა და სრულყოფის პროცესის შესწავლას.

## რუსი ხალხის დიდი მწერალი

1 აპრილს შესრულდა 150 წელი გოგოლის დაბადებიდან.

ეს ღირსშესანიშნავი თარიღი ერთი იმათთაგანია, რომელნიც აერთიანებენ და აახლოებენ ხალხებს.

გოგოლი დაიბადა 1809 წელს მირგოროდის მხარეში, სოროჩინცში. როგორც მწერალი რუსი ხალხისა, იგი დაიბადა 1830 წელს, როდესაც გამოაქვეყნა სენტიმენტალურ-რომანტიკული იდილიით გამსჭვალული „ჰანს კუხელგარტენი" — გერმანული თემებიდან. ეს იყო პირველიცა და უკანასკნელი ნაწარმოებიც, რომელიც გოგოლმა სალექსო ფორმით ჩამოაყალიბა.

საცხოვრებლად და სწავლისათვის პეტერბურგს გადმოსული გოგოლი გაეცნო და დაუახლოვდა დელვიგს, ჟუკოვსკის; პროფესორსა და პუშკინის მეგობარს პლეტნევს, აგრეთვე რუსეთის სხვა დიდ ადამიანებს.

1831 წელს გოგოლი ეცნობა პუშკინს —თავის დიდ მასწავლებელს და ბევრ შემთხვევაში, მისი, როგორც შემოქმედის, გზის განმსაზღვრელსა და მანათობელს. მათი მეგობრობა იყო ერთი სახელოვანი ფურცელი რუსეთის დიდ ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებისა.

1836 წელს პეტერბურგის სცენაზე პირველად დაიდგა გოგოლის „რევიზორი". ეს იყო რუსული დრამატული ჟანრის შედევრი, რომლის გვერდით მხოლოდ გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან" თუ დადგება. რუსეთის საზოგადოების ჯანსაღი ნაწილი აღფრთოვანებით შეხვდა „რევიზორს".

„გადავწყვიტე, თავი მოვუყარო ერთად ყველაფერ ცუდს, რაც რუსეთშია... ყოველგვარ უსამართლობას... და ყველაფერს ერთად დავცინო" — წერდა გოგოლი.

მტრების ბანაკში გაჩნდა განუწყვეტელი ლანძღვა-გინება გოგოლისა, ერთი კომპეტენტური პირი ამ ბანაკიდან გოგოლის შესახებ წერდა: „ის წარმომადგენელია ახალგაზრდა რუსეთისა, მთელი თავისი თავხედობითა და ცინიზმით".

გოგოლის ჯანმრთელობა საგრძნობლად შერყეული იყო. მან ვერ აიტანა რეაქციული ფრთის მრავალგზისი გამოხტომა და დასტოვა რუსეთი. 1836—1848 წლებში იგი ცხოვრობს საზღვარგარეთ, უმთავრესად რომში. ამ ხნის განმავლობაში იგი მხოლოდ ორჯერ ჩამოვიდა რუსეთში: 1839 და 1841 წლებში.

პუშკინი უდიდესი დამფასებელი იყო გოგოლის ტალანტისა. 1835 წელს გოგოლი პუშკინის უშუალო მითითებით იწყებს „მკვდარი სულების" წერას. ცნობილია, რომ „რევიზორის" სიუჟეტიც გოგოლს პუშკინმა მიაწოდა. „მკვდარი სულების" 1 ტომი 1842 წელს გამოქვეყნდა.

რიგი გარემოების გამო გოგოლმა მას პოემა უწოდა. იგი მართლაც იყო უაღრესად პოეტური ნაწარმოები. ეს იყო უმწვავესი საბრალდებულო აქტი, მამხილებელი ტილო რუსეთის თვითმპყრობელობის დესპოტიზმისა, მისი ჯალათური ბუნებისა და შეუწყალებლობისა.

არსად ისე მძიმე არ ყოფილა ხელოვანთა ბედი, როგორც ცარიზმისდროინდელ რუსეთში და არც ერთი პერიოდი არ ყოფილა ისე ტრაგიკული, როგორც მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევარი. საკმარისია გავიხსენოთ 14 დეკემბრის ამბოხების მეთაურთა ჩამოხრჩობა, გრიბოედოვის, პუშკინის, ლერმონტოვის მკვლელი, გერცენისა და ბელინსკის მდევარი, მეთაური მთავრობისა, რომელმაც გააწამა გოგოლი...

ნიკოლოზ პალკინი...

პალკინი უწოდეს ამ ძალთაპირს, ნიკოლოზ I-ს, რომელიც იმეორებდა თავისი ახლო წინაპრის პავლე I-ის საყვარელ ფრაზას: „რუსეთში მხოლოდ ისაა კეთილშობილი, ვისაც მე ველაპარაკები და ვიდრე მე ველაპარაკები".

გოგოლის ცხოვრება გაცილებით მკვეთრად ტრაგიკული იყო, ვიდრე მისი დიდი თანამედროვეებისა. მეფის მთავრობამ გოგოლის მიმართ ვერ გაიმეორა ნაცადი ხერხი და ვერ მიიყვანა იგი სიკვდილამდე ნაცადი იარაღით. იგი წვეთწვეთად დაცალეს სისხლისაგან და ყოველდღიურად მიჰქონდათ მისი ორგანიზმისა და სიცოცხლის დიდი ნაწილი.

დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედიის" მსგავსად გოგოლს გადაწყვეტილი ჰქონდა „მკვდარი სულების" დაწერა სამ ტომად: პირველი უნდა ყოფილიყო ჯოჯოხეთი რუსეთის ცხოვრებისა, ხოლო მეორე და მესამე — სალხინებელი და სამოთხე რუსეთის იმდროინდელი სინამდვილისა; მაგრამ რა სამოთხეზე შეიძლებოდა ლაპარაკი ცარიზმისდროინდელ რუსეთში?! სწორედ ამიტომ, გოგოლმა სამჯერ დასწვა ეპოპეის მეორე ტომის ხელნაწერი: 1843, 1845 და 1852 წელს.

ეს იყო კატასტროფა, მაგრამ აშკარად ცდებიან ისინი, ვინც ამ აქტს მხოლოდ კატასტროფად და მწერლის მარცხად მიიჩნევენ. ეს იყო დიდი გამარჯვება შემოქმედის დიადი მამოძრავებელი პრინციპებისა. გოგოლმა განაჩენი გამოუტანა და საკუთარი ხელით მოსპო ის, რაც ეწინააღმდეგებოდა თვით გოგოლს — დიდ მწერალსა და სიმართლის გენიალურად ამმეტყველებელს.

ეს იყო გამარჯვება, რომლის სამსხვერპლოზე მწერალმა გარკვეულად მიიტანა თავისი სიცოცხლე. ხომ ცნობილია, რომ იგი წლების მანძილზე იტანჯებოდა და დიდად განიცდიდა მისი მსოფლმხედველობის დამღუპველი ხაზით სვლას. და ისიც ხომ ცნობილია, რომ იგი საშინელ ფიზიკურ და სულიერ ტანჯვაში გარდაიცვალა სწორედ „მკვდარი სულების" მეორე ტომის ხელნაწერის მოსპობიდან რამდენიმე დღის შემდეგ.

„მკვდარი სულები" მგზნებარე პროტესტია რუსეთის არსებული წესწყობილების წინააღმდეგ და უდიდესი გამოხატულებაა ლიტერატურის მებრძოლი ხასიათისა, მისი მებრძოლი სულისა. ეს ნაწარმოები „რევიზორთან" ერთად გოგოლის შემოქმედების მწვერვალია.

სხვას რომ თავი დავანებოთ, გოგოლს უკვდავსაყოფად „შინელი" და „პორტრეტიც" ეყოფოდა. მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე მწერალს თუ შეუძლია მსგავსი პრეტენზიულობით გამოვიდეს ასე პატარა ფორმის ნაწარმოებებით.

გოგოლს ეკუთვნის აგრეთვე დიდებული კომედიები, რომლებიც სათავედ დაედვნენ შემდეგდროინდელ რუსულ კომედიას. პუშკინის შემდეგ ყველაზე მეტად სწორედ გოგოლისაგანაა დავალებული რუსული მწერლობა; და საერთოდ, პუშკინმა, გოგოლმა და ტოლსტოიმ შექმნეს ესრეთ სახელოვანი მეცხრამეტე საუკუნე რუსეთისა.

გოგოლმა კომედიის ენით რუსეთის ტრაგედია მოგვითხრო. მაგრამ იგი იმედით შეჰყურებდა თავისი ხალხის მომავალს და მის მებრძოლ ადამიანებს. მან მძლავრი სუნთქვა შთაბერა თავის ნაწარმოებებში ასეთ ადამიანებს. თვით ყველაზე უარყოფითი პერსონაჟების ფონზე გოგოლი ეძებდა მებრძოლი, სრულყოფილი ადამიანის იდეალს და წამდაასეთი ადამიანების არსებობა.

გოგოლი ეკუთვნის შემოქმედთა იმ მცირე ჯგუფს, რომელნიც ბადებენ საუკუნეებს, აწრთობენ ერის სულს და აღაგზნებენ მას მომავლის დიდი ბრძოლებისათვის. მან, რომლის სახელი დიდი ხანია გასცდა თავისი ქვეყნის საზღვრებს, სამართლიანად დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი საკაცობრიო კულტურის ისტორიაში.

ჯ. თითმერია

# პედაგოგიური პრაქტიკა

40 დღე იმყოფებოდნენ ისტორიის ფაკულტეტის IV კურსის საქართველოს ისტორიის სპეციალობის სტუდენტები პედაგოგიურ პრაქტიკაზე თბილისის 67-ე საშუალო სკოლაში.

მომავალი პედაგოგები გულთბილად მიიღეს სკოლის დირექტორმა ამხ. ლ. მელაძემ და მთელმა პედაგოგიურმა კოლექტივმა. დირექტორმა რამდენიმე საუბარი ჩაუტარა პრაქტიკანტებს სკოლათმცოდნეობის შესახებ. ასევე, თავიანთი გამოცდილების გაზიარებით ქმედით დახმარებას უწევდნენ სტუდენტებს დამსახურებული მასწავლებლები—კ. მენაღარაშვილი და ვ. ვარძიელი. ისინი აცნობდნენ მათ მოსწავლეთა ბუნებას, მათთან მუშაობის ფორმებს, საგნის სწავლებასთან დაკავშირებულ მეთოდურ ხერხებს. გამოცდილ მასწავლებლებთან ერთად სტუდენტებს დიდ დახმარებას უწევდნენ სკოლის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ამხ. ნ. ცხვირაშვილი და პიონერხელმძღვანელი ამხ. ა. გოგიტიძე, ხოლო პრაქტიკის ხელმძღვანელი დოც. ირ. ბერაძე ყოველთვის პრაქტიკანტებთან იმყოფებოდა და საჭირო მითითებების მიცემითა და ყოველდღიური დახმარებით ხელს უწყობდა მათ მომავალ პედაგოგებად ჩამოყალიბებაში.

არც პრაქტიკანტები იშურებდნენ ძალასა და ენერგიას. მათ მიერ ჩატარებული ყველა გაკვეთილი მაღალ ნიშანზე იქნა შეფასებული, რაც, რა თქმა უნდა, მოსაწონია. მაგრამ მარტო მაღალხარისხოვანი გაკვეთილის ჩატარება როდი კმარა. პრაქტიკანტისათვის საჭიროა აგრეთვე მოსწავლეების გაცნობა, მათთან დახლოება, აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარება. არც ამ მხრივ ჩამორჩენილან ჩვენი სტუდენტები. ისინი სკოლაში გამოჩენის პირველი დღიდანვე ჩაებნენ სკოლის კომკავშირულ და პიონერულ მუშაობაში და განახორციელეს რამდენიმე კარგი ღონისძიება. ასე მაგალითად, სტუდენტების — გ. გავარდაშვილის, თ. სოფრომაძისა და ნ. ესაკიას ინიციატივით მე-9 კლასების მოსწავლეებმა დაათვალიერეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, სადაც ისინი უკეთ გაეცნენ



საქართველოს უძველეს კულტურის ძეგლებს. სტუდენტმა თ. ბერაძემ საწარმოო პრაქტიკასთან ერთად კარგად შეათავსა საზოგადოებრივი საქმიანობაც. მან რამდენიმე მოხსენება ჩაატარა სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესახებ საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის მუშებთან.

ამავე დროს ჩატარდა მოსწავლეთა საღამო-კონცერტი პრაქტიკანტების — ე. მეგრელიძის, გ. ნადირაძის, ლ. გოცირიძის, ი. ჩხარტიშვილის, ნ. კილურაძის ინიციატივით და მათი უშუალო მონაწილეობით.

დიდ დახმარებას უწევდნენ სკოლას კედლის გაზეთების გამოშვებაში სტუდენტები — ჯ. ამირანაშვილი, დ. ციცქიშვილი, ლ. ლონლაძე, გ. ჰეიშვილი და სხვ.

20 მარტს დამთავრდა სტუდენტთა პედაგოგიური პრაქტიკა. მომავალი აღმზრდელები გულთბილად გამოაცილეს მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა მათ მიერ დამსახურებული სიყვარულისა და პატივისცემის აღსანიშნავად.

**სურათზე: დოც. ირ. ბერაძე და მასწავლებელი ვ. ვარძიელი სტუდენტთა თანდასწრებით გ. გავარდაშვილის მიერ ჩატარებული გაკვეთილის განხილვისას.**

**ზურაბ ნიკოლაძე**

ფოტო თ. **სოფრომაძისა**

## მეგობრული შეხვედრა



22 მარტს უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში მოეწყო კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიის ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის სტუდენტთა მეგობრობის საღამო.

**სურათზე:** საღამოს მონაწილენი (მარცხნიდან მარჯვნივ) — ლ. მახვილაძე, ც. გელდიაშვილი, ა. წერეთელი, რ. ლეკიშვილი, რ. ცისკარიშვილი და რ. მესხი მეგობრული საუბრის დროს.

ფოტო ზ. რუსიასი

# „თომას მანი" თბილისში

ჰაინც კამნიცერი

⊙

**გერმანული გაზეთის „ზონტაგის" მე-15 და მე-16 ნომრებში დაიბეჭდა პროფ. ჰაინც კამნიცერის წერილი „თომას მანი თბილისში", რომელშიც გადმოცემული აქვს საქართველოში და კერძოდ ჩვენს უნივერსიტეტში ყოფნისას მიღებული შთაბეჭდილებანი.**

**ქვემოთ ვბეჭდავთ აღნიშნულ წერილს მცირეოდენი შემოკლებით, რომელიც გერმანულიდან თარგმნა უფროსმა მასწავლებელმა ნათელა ნადარეიშვილმა.**

⊙

საჰაერო ხაზი მოსკოვიდან თბილისამდე იმავე მანძილისაა, როგორც ბერლინიდან ათენამდე. ფრენა, ისეთი ტიპის მანქანით, როგორიც არის ტუ-104, გრძელდება 150 წუთი. მაგრამ საათში 900 კილომეტრის სიჩქარე არც იგრძნობა ცხრა კილომეტრის სიმაღლეზე. თვითმფრინავის ფანჯრიდან დედამიწა ისე მოჩანს, როგორც მუყაოსაგან გაკეთებული მოდელი.

მზე თითქოს ჩვენი თანამგზავრი იყო. იგი იყო ახლოს და საკმაოდ მცხუნვარე. ხმელეთი თეთრად გადაშლილიყო. მხოლოდ ხანდისხან გამოჩნდებოდა ხოლმე ალმაცერად დახრილი ნაცრისფერი ლაქები. საუზმის დროს, შუა გზაზე გამოჩნდა აზოვის ზღვა, როგორც მოვერცხლისფერო-მოლურჯო ამობურცული რამ.

იქ, ხალხში, რომელიც თვითმფრინავით მგზავრობს, ვერცერთ სახეს ვერ ნახავთ ისეთს, რომ არ ლაღადებდეს: კარგად შემომხედეთ, მე წარმატებას მივაღწიე, კაცი გამოვედი. დირექტორი ვარ, ფინანსისტი ვარ, თანა მაქვს ფასიანი ქაღალდები, ერთი სიტყვით, რჩეული კაცი ვარ.

აქ კი თვითმფრინავით მგზავრობენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც თითქმის ვერასოდეს ვერ ნახავთ დასავლეთ ევროპის თვითმფრინავებში, და თუ იქ ისინი ზოგჯერ შემთხვევით მოხვდებიან, თავს უხერხულად გრძნობენ, რადგან მათ ისე უყურებენ, როგორც კეთრით დაავადებულთ.

აქ, თვითმფრინავში, ისე ბუნებრივად და ძალდაუტანებლივ მოძრაობენ მუშები, გლეხები, მოსამსახურეები, როგორც მთელი საბჭოეთის ვრცელ მიწაზე. თითქოს და დედამიწა გათანასწორებულაო, ისე საუბრობენ ისინი გენერალთან, რომელიც კავკასიაში მიფრინავს, სთავაზობენ მას სიგარას, ვაშლს ან გაზეთს. შეიძლება ითქვას, რომ ისინი თავიანთი ასეთი ურთიერთახლო დამოკიდებულებით გაკვირვებულსა და განცვიფრებულ უცხო ადამიანს ვერც გაუგებენ კარგად. ამ ქვეყანაში ახალი ცივილიზაცია ისე გამჯდარა ძვალსა და რბილში, რომ სხვაგვარ დამოკიდებულებას ისინი მიიჩნევდნენ წარსულის საშინელ ზღაპრად.

ფიქრებში გავერთე, მაგრამ როდესაც თვითმფრინავი დაეშვა, გაქრა ილუზიებიც.

— იძულებითი დაშვებაა?—ვკითხე გაკვირვებულმა.

—არა, უკვე თბილისში ვართ.

აეროდრომი საკმაოდ შორს არის ქალაქიდან. ტუ-104 უნდა დაეშვას მთავარი მოედნიდან მოშორებით, რათა შემდეგ ნელ-ნელა გაგორდეს ბაქანზე. მე კი მეგონა, რომ დავეშვით ნაპურალ ყანაზე, მაგრამ ამაში დამნაშავე აღმოჩნდა ჩემი თამამი ფანტაზია.

პირველი შთაბეჭდილება თითქოს ჰგავდა ჩემს წინასწარ წარმოდგენას საქართველოზე. მე წარმომედგინა იგი როგორც მოწინავე აზია. მართალია, მე ვიცოდი, რომ თბილისში არ ვნახავდი ხალხს ძონძებსა და დაკერებულ ტანსაცმელში, არ ვნახავდი აქ თვალის საშინელი სენით — ტრაქომით დაავადებულ ბავშვებს, არ შევხვდებოდი, ერთი მხრით, ეფენდების სასახლეებსა და, მეორე მხრით, თიხით შელესილ ღარიბთა ქოხებს, მაგრამ მე წარმომედგინა, რომ აქ ვნახავდი ქალაქს, როგორიც იქნებოდა, მაგალითად, თეირანი პლუს სოციალიზმი. ეს იმიტომ, რომ თბილისი ხომ მდებარეობს საბჭოთა კავშირის სამხრეთ ნაწილში, სადაც გადის მისი სახელმწიფო საზღვარი. მე შთავინერგე, რომ უკვე უკან დავტოვე ყოველგვარი ევროპული საზომი და ამგვარი განწყობილებით ფეხი დავდგი საქართველოს წმინდა მიწაზე.

აეროპორტიდან ჩვენ გავემართეთ ქალაქისაკენ. მალე გზა გაჰყვა მტკვრის გასწვრივ. მდინარის მეორე მხარეზეა აღმართული, ფრიალო კლდეები, ძველი ქალაქის მაღლობზე აღმართულან, როგორც მთის სოფელში, ხის აივნიანი და შუშაბანდიანი სახლები. მარტო მათი შეხედვაც თავბრუს მახვევს.

შემდეგ უკვე თვალი მოვკარი ტრამვაებს, ტროლეიბუსებსა და ავტობუსებს. ქვაფენილი უერთდება განიერ ბულვარს. სად ვართ, თბილისში თუ მონტე კარლოში?! მე ვეძებდი აღმოსავლეთს და ვიპოვე თანამედროვე დიდი ევროპული ქალაქი!

მეორე დღეს უკვე ქალაქში დავეხეტებოდი. არა, ქალაქს არაბული არაფერი აქვს! დიდი შენობები მთავარ ქუჩაზე მე უფრო მაგონებდნენ ვენის რინგს ან რეჯენ-სტრიტს ლონდონში, მაგრამ გადაჭარბებული აქ არაფერია. სადაა ორნამენტები. ისინი წარმოადგენენ არქიტექტურის ორგანულ ნაწილს. აქ ვერსად დაინახავთ საცხოვრებელ ბარაკებს, პირიქით, აქ თქვენ ნახავთ შენობებს, რომლებიც ყოველმხრივ პასუხობენ თანამედროვე მოთხოვნილებებსა და ტრადიციულ ფორმებს. ვერ დაინახავთ ზედმეტ ფუფუნებასა და კუდაბზიკობას. აქ, ისევე როგორც ლენინგრადში, იგრძნობა, თუ როგორ აწონასწორებენ ერთმანეთს ზომიერება და ღირსება.

ქალაქის ახალ ნაწილში ფუნქცია და გაფორმება იმდენად ჰარმონიულია, რომ ჩვენმა სპეციალისტებმა ადგილზე რომ ნახონ, უსათუოდ მისი გავლენის ქვეშ მოექცევიან.

ამ კვარტალში მოგზაურობის დროს ჩემი ყურადღება მიიქცია უნივერსიტეტმა. ჩვენ გადმოვედით მანქანიდან და შევხვდით პრორექტორს სასწავლო ნაწილში. მე ბოდიში მოვიხადე მოულოდნელი თავდასხმისათვის.

ჩემმა ქართველმა თარჯიმანმა დაიწყო თარგმნა. მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საჭირო.

გერმანული ესმოდათ.

უკვე შუა საუკუნეებიდან აფასებდნენ და სწავლობდნენ აქ, თბილისში, ევროპულ ლიტერატურას. გერმანელი კლასიკოსები მათთვის უკვე მე-19 საუკუნეში იყო ცნობილი და თარგმნილი. ლესინგს, გოეთეს, შილერს ისინი თავისად თვლიან. განსაკუთრებით ჰაინრიხ ჰაინე ყოფილა მათ მიერ თანამემამულედ მიჩნეული. მას პატივს ცემენ მხურვალედ და მთელი არსებით. ამაში რომ დარწმუნდე, საჭიროა წაიკითხოთ ქართულ ენაზე მრავალი სტატია და გამოკვლევა ჰაინეზე და საერთოდ გერმანელ კლასიკოსებზე.

მე დავინტერესდი, ვკითხე თუ არა ლექციები გერმანული ლიტერატურიდან. ამაზე ბატონმა პრორექტორმა მე ისე შემომხედა, როგორც მთვარიდან ჩამოვარდნილ ადამიანს. საპროფესოროში მე გამაცნეს ოთხი მანდილოსანი, რომლებიც მუშაობენ გერმანისტიკაში, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ — ექვსი სხვა დოცენტი. ისინი ისე თავისუფლად საუბრობდნენ ჩემთან ჩემს მშობლიურ ენაზე, რომ მე დამავიწყდა, სად ვიმყოფებოდი.

—ხომ არ გსურთ წამობრძანდეთ ჩემთან ლექციაზე?—მკითხა ქალბატონმა ქურდიანმა. ეს ჩემი დიდი სურვილი იყო და სიამოვნებით გავყევი აუდიტორიაში, სადაც რვა ახალგაზრდა გოგონა დაგვიხვდა. მათ ფეხზე ადგომით, პატივი გვცეს, როდესაც აუდიტორიაში შევედით. ჩემი შეფასებით ისინი უნდა ყოფილიყვნენ თვრამეტიდან ოც წლამდე ასაკისა და ისე გამოიყურებოდნენ, როგორც დასავლეთის სამყაროს რომელიმე უნივერსიტეტის სტუდენტები.

რაც ჩემი თვალით ვნახე, ეს არის ზღაპარი ათას ერთი ღამიდან. მე აღმოვჩნდი სემინარზე, რომლის თემა იყო თომას მანის „ბუდენბროკები". დისკუსიის საგანი იყო ტრავემიუნდერის ეპიზოდი, ურთიერთ დამოკიდებულება ტონი ბუდენბროკსა და მორტენ შვარცქოფს შორის.

ამ გოგონებმა იცოდნენ ყველა დეტალი, დაწვრილებით ესმოდათ საკითხის არსი, კარგად ერკვეოდნენ მხატვრულ ნიუანსებში. ამახვილებდნენ ყურადღებას ეპოქის მაჯისცემაზე, საზოგადოებაზე და ყოველივე ამას თვითონვე ადვილად ხსნიდნენ სიუჟეტის მიხედვით.

ისინი ლაპარაკობდნენ და მსჯელობდნენ გერმანულ ენაზე, ბუნებრივად უშეცდომოდ აგებდნენ ფრაზებს, გააჩნდათ საკმაო ლექსიკური მარაგი და არ ხმარობდნენ გაზეპირებულ ხელოვნურ ფრაზებს. ისინი ისე თავისუფლად გადმოცემდნენ თავიანთ აზრებს, რომ მე გული საგულეში აღარ მეტეოდა.

ბევრი რამ გამახსენდა (რაც მერჩია საერთოდ არ გამხსენებოდა).

1933 წლამდე განცდათა ასეთი სიღრმე და ასე სათუთი მგრძნობიერება ვიპოვე და შევიყვარე გერმანელი ახალგაზრდობის წრეებში. იგი წამყვა მე გადასახლებაში და უკან დაბრუნებისას კვლავ მსურდა, მაგრამ ვეღარ აღმოვაჩინე ეს სათუთი გრძნობა მათში. ყველაფერი ეს, რასაც მე ვეძებდი, და კიდევ უფრო მეტიც, ჩემი ადრეული წლების ბიბლია — თომას მანი — მე ახლა აქ ვპოვე, ქართველ ახალგაზრდობაში ამ 45-წუთიან ლექციაზე გამართული დისკუსიის დროს. ყოველივე ამან მე ძალიან ამაღელვა, გული გარეთ გასვლას მკარნახობდა. გრილ დერეფანში. ეს იმიტომ, რომ ჩემი სიტყვები, რომელიც მე მათი თხოვნით წარმოვთქვი, ვერ უჩვენებდნენ (გოგონების წინაშეც კი) გულის ამაჩუყებელ გრძნობებს, მაგრამ ჩემდა საბედნიეროდ დერეფანში შემომხვდა რამდენიმე კაცი, რომლებმაც გამიბეს საუბარი (რა თქმა უნდა, გერმანულ ენაზე) ალფრედ ვებერზე, კარლ ბრინკმანზე და ჰუგო ლედერერზე. ჰაიდელბერგის სოციოლოგიისა და ფილოსოფიის აბსტრაქტული საკითხების შესახებ მათთან baasma დამამშვიდა და სულ სხვა მოგონებებში გადამისროლა.

შემდეგ ცოტახნით შევიარე ბიბლიოთეკაში, რათა იქ მყოფნი არ შემეწუხებინა. კართოთეკებზე აღნიშნული იყო ბიბლიოთეკაში არსებული გერმანული ლიტერატურა: ასო „B"-ზე მოცემულია ბეხერის, ბოლის, ბრეხტისა და ბრედელის წიგნები.

უნივერსიტეტში დაცულ ბოლო პერიოდის დისერტაციებს შორის მე შევნიშნე ნაშრომები ანდრეას გრიფიუსის შესახებ, დრამატურგიის პრინციპების შესახებ ლესინგის ესთეტიკაში, „გოეთე და რევოლუცია", „სოციალ უტოპიური ტენდენციები გოეთესთან".

დამშვიდობებისას ბატონმა პრორექტორმა მომართვა ორი წიგნი თითო ხუთას გვერდიანი. ორივე ქართულ ენაზე. სათაური: „ჰაინრიხ ჰაინეს ხელოვნების თეორია", (1956) და „ნარკვევები გერმანული ლიტერატურის ისტორიიდან" (1959), ავტორი—პროფ. გრ. ხავთასი, პრორექტორი. მე მათი წაკითხვა მართალია არ შემეძლო, მაგრამ ვუთხარი რა მადლობა, მინდოდა მარტო დავრჩენილიყავი, რათა ნანახი ერთხელ კიდევ კარგად გამეაზრებინა და ხელახლა მეთქვა მადლობა, რომლისთვისაც არც სიტყვები მყოფნიდა და არც გრძნობები.

(დასასრული იქნება)

# საუნივერსიტეტო სპარტაკიადა

## ცურვა

### დაძაბულად ჩატარდა

სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ცურვაში თავისუფალი სტილით მოცურავე ვაჟების გამოსვლებით დაიწყო. თავისუფალი სტილით 100 მეტრზე ცურვაში პირველი ადგილი დაიკავა რ. ჯანაშვილმა (ბიოლოგიის ფაკ.), მეორე — ლ. გოგოლაძემ (მექანიკა-მათემატიკის ფაკ.). ქალთა შორის იმავე სტილით ცურვაში უნივერსიტეტის ჩემპიონი გახდა ც. შანშიაშვილი (ფილოლოგიის ფაკ.), ხოლო მეორე ადგილზე გამოვიდა ი. ცერცვაძე (მექანიკა-მათემატიკის ფაკ.).

დაძაბულად ჩატარდა შეჯიბრება ზურგზე ცურვაში, სადაც 100 მეტრი მანძილი საუკეთესო დროში დაფარა ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტმა ზ. რაზმაძემ. ქალთა შორის ამ სახის ცურვაში უნივერსიტეტის ახალი რეკორდი დაამყარა და სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი თ. ქართველიშვილი.

შედარებით სუსტად გამოიყურებოდნენ ბრასის სტილით მოცურავეები. ვაჟთა შორის შეჯიბრება ტარდებოდა 200 მეტრზე ცურვაში, ქალთა შორის— 100 მეტრზე. ვაჟებიდან ყველაზე კარგი შედეგი უჩვენა ვ. გერასიმოვმა, ქალებიდან — გ. ბუაძემ.



**სურათზე:** შეჯიბრების სტარტი

ფოტო ა. გემჯიანისა

## ზოგიერთი შედეგი

უნივერსიტეტის II კორპუსის სპორტული დარბაზი სამი დღის განმავლობაში, ყოველ საღამოს მაყურებლებით იყო სავსე. აქ თავისუფალ ჭიდაობაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ რვა ფაკულტეტის საუკეთესო სპორტსმენები. შეჯიბრება საინტერესო იყო არა მარტო სპორტის ოსტატებისა და მაღალტექნიკური მოჭიდავეების მონაწილეობით, არამედ იმითაც, რომ შეჯიბრებას კარგი ორგანიზაცია გაუკეთა მსაჯთა კოლეგიამ (კ. შეყრილაძე, ზ. დენტოშვილი, გ. ჩიტიაშვილი).

შეჯიბრების მანძილზე ყურადღების ცენტრში იყვნენ მძიმე წონის მოჭიდავეები. ამ წონით კატეგორიაში თავი მოიყარეს რესპუბლიკაში ცნობილმა სპორტსმენებმა: სსრ კავშირის სპორტის ოსტატმა ა. სიხარულიძემ, პირველთანრიგოსნებმა—ანთიძემ, მორჩილაძემ, ჩიკვილაძემ და ნიჭიერმა ახალგაზრდამ გ. ქვანიამ.

მძიმე წონის ხუთივე მოჭიდავე ისე მოხდენილად, გააზრებულად და ვაჟკაცური ტემპერამენტით იბრძოდნენ საჭიდაო ხალიჩაზე, რომ ყველა მათგანისათვის ალალი იყო უნივერსიტეტის ჩემპიონობა.

სპორტის ოსტატმა სიხარულიძემ მაყურებლებს მოლოდინი გაუმართლა, თუმცა მან ჩემპიონობას იოლად ვერ მიაღწია. სიხარულიძეს ყველაზე მეტად II ადგილზე გამოსულ მორჩილაძესთან გაუჭირდა ბრძოლა. (ეს შეხვედრა ფრედ დამთავრდა). მესამე ადგილზე გამოვიდა ნ. ანთიძე (მექანიკა-მათემატიკის ფაკ.), მეოთხეზე — გ. ქვანია (ისტორიის ფაკ.). ახალბედა გ. ქვანიას მიერ მოპოვებული შედეგი საპრიზო არ არის, მაგრამ ის, რომ მან ფრედ დაამთავრა შეხვედრა პირველთანრიგოსან ანთიძესთან და სუფთად მოუგო თანრიგოსან ჩიკვილაძეს, მის დიდ წარმატებას ნიშნავს.

საჭიდაო სარბიელზე საშუალო წონის მოჭიდავის, სსრ კავშირის სპორტის ოსტატის გ. რევიას გამოსვლა მაყურებელს ყოველთვის ხიბლავდა. ყურადღებას მხოლოდ მისი გამარჯვებები როდი იქცევდა. საინტერესო იყო რევიას მიერ ჩატარებული ტექნიკურად დახვეწილი და ლამაზი ილეთები. ყველაზე უკეთესი შედეგებით რევიამ სამართლიანად მოიხვეჭა უნივერსიტეტის ჩემპიონობა. ამავე წონით კატეგორიაში გამოდიოდა I-თანრიგოსანი ვ. ხვისტანი (ისტორიის ფაკ.), რომელმაც ერთი წაგებით (რევიასთან) მეორე ადგილი დაიკავა. მესამე ადგილზე გამოვიდა ლ. ახობაძე (ეკონომიური ფაკ.).

საერთო სიმპათია დაიმსახურა პირველთანრიგოსანმა გ. ლოლობერიძემ (ფიზიკის ფაკ.), რომელიც ნახევრად საშუალო წონაში გამოდიოდა. ლოლობერიძე აგრესიული სტილის მოჭიდავეა, ამავე დროს დინჯი და მოფიქრებული. მის ჭიდაობას ამშვენებდა კარგი ფიზიკური მომზადება, მოჭიდავის ალღო და გამოცდილება, იგი ხალიჩას ყოველთვის გამარჯვებული და ბრძოლისუნარიანი ტოვებდა. ნახევრად საშუალო წონაში მეორე ადგილზეა ზ. ჩიტიშვილი (იურიდიული ფაკ.), მესამეზე — გ. გვიმრაძე (გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკ.).

დანარჩენი წონითი კატეგორიების მიხედვით ადგილები ასე განაწილდა: უმჩატესი წონა: 1. ი. წერეთელი (ეკონომიური ფაკ.), 2. გ. გოქაძე (ისტორიის ფაკ.).

მჩატე წონა: 1. ჯ. ძნელაძე (გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკ.), 2. გოგიაშვილი (ეკონომიური ფაკ.), 3. ს. ლურჯია (იურიდიული ფაკ.).

ნახევრად მსუბუქი წონა: 1. ვ. კუპაიძე (მექანიკა-მათემატიკის ფაკ.), 2. მ. სურმავა (ბიოლოგიის ფაკ.), 3. გ. ჩხარტიშვილი (იურიდიული ფაკ.).

მსუბუქი წონა: 1. უ. აგლაძე (მექანიკა-მათემატიკის ფაკ.), 2. ე. გვრიტიშვილი (ეკონომიური ფაკ.), 3. ვ. კიკნაძე (იურიდიული ფაკ.).

## ჭიდაობა

ნახევრად მძიმე წონა: 1. კ. ყრუაშვილი (ეკონომიური ფაკ.), 2. თ. მანველიძე, 3. მ. ფანოზიშვილი (მექანიკა-მათემატიკის ფაკ.).

გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს იურიდიული ფაკულტეტის მოჭიდავეებმა, მეორეზე არიან ეკონომისტები, მესამეზე — მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სპორტსმენები.

ზოგიერთი შენიშვნა შეჯიბრების მიმდინარეობაზე: ეს შეჯიბრება გამოირჩეოდა თავისი მასობრივობით, იგი იყო კიდევ ერთი გამოცდა ახალგაზრდა სპორტსმენთათვის შეჯიბრების ჩვევებისა და გამოცდილების მიღების საქმეში; ამასთან, სამწუხაროდ, შეჯიბრების მსვლელობისას გამოვლინდა ზოგიერთი სტუდენტის არაორგანიზებულობა, უპასუხისმგებლობა და თავისი კოლექტივისადმი უპატივცემულობა. ადგილი ჰქონდა ცალკეულ სტუდენტთა მიერ შეჯიბრების თვითნებურ მიტოვებას. აწონვაზე, ან შეხვედრაზე დაგვიანებით გამოცხადებას, რის გამოც ათობით სტუდენტი მოიხსნა შეჯიბრებიდან. სწორედ ამის გამო იყო, რომ ფიზიკის ფაკულტეტის გუნდი, რომელიც დასაწყისში პირველობის ერთ-ერთ პრეტენდენტად ითვლებოდა, მეორე-მესამე დღეს მეექვსე ადგილზე აღმოჩნდა.

უფრო მეტიც: ფილოლოგიის ფაკულტეტის გუნდი შეჯიბრების პირველ დღეს გუნდურ ჩათვლაში მონაწილეობდა სრულად დაკომპლექტებული, მაგრამ მეორე და მესამე დღეს მისი წევრები სადღაც გაუჩინარდნენ.

საჭიროა დაფიქრება — ვინ არის დამნაშავე?

**ზ. დენტოშვილი,**
სპორტის ოსტატი.

## თინათინ ქორქოლაძე — რესპუბლიკური ჩემპიონატის მონაწილე

ამასწინათ საქართველოს ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში დამთავრდა ქ. თბილისის პირველობა ჭადრაკში ქალთა შორის, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები —ქორქოლაძე, სამსონია და მიქაია.

მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტმა თინათინ ქორქოლაძემ ჩინებულად ჩაატარა შეჯიბრება. მან ბელოზეროვასა და გოგიავას შემდეგ მესამე ადგილი დაიკავა და უფლება მოიპოვა მონაწილეობა მიიღოს რესპუბლიკურ პირველობაში, რომელიც 5 აპრილს დაიწყება ქ. ზუგდიდში.

## ვ. პაპავა



17 მარტს გარდაიცვალა დოცენტი, პენსიონერი ვლადიმერ თადეოზის ძე პაპავა, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მოახმარა საბჭოთა ხალხის უანგარო სამსახურს, ახალგაზრდა კადრების მომზადებისა და ეკონომიურ-სტატისტიკური მეცნიერების დარგში სამეცნიერო-კვლევით მუშაობას.

დოც. ვ. პაპავა დაიბადა სამტრედიაში, 1885 წელს, ღარიბი გლეხის ოჯახში. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1917-21 წწ. მუშაობდა სხვადასხვა პრაქტიკული ხასიათის სამუშაოებზე. 1921 წლიდან ვლადიმერ პაპავა მუშაობას იწყებს საქართველოს სტატისტიკურ სამმართველოში, ხოლო 1926 წელს ჩვენი უნივერსიტეტის ეკონომიურ ფაკულტეტზე, სადაც კითხულობდა ლექციებს ეკონომიურ-სტატისტიკურ დისციპლინებში. 1944-47 წწ. იგი პარალელურად მუშაობას ეწეოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში უფროსი მეცნიერი მუშაკის თანამდებობაზე.

დოც. ვ. პაპავა მოღვაწეობდა აგრეთვე დაუსწრებელი სწავლების თბილისის სხვადასხვა ინსტიტუტებში.

განსვენებულის კალამს ეკუთვნის მრავალი სამეცნიერო შრომა, რომელიც ეხება ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ფრიად მნიშვნელოვან საკითხებს. მის მიერ შედგენილ სახელმძღვანელოებზე აღიზარდა მრავალი ახალგაზრდა ეკონომისტი, რომლებიც ახლა წარმატებით ემსახურებიან სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებს. მისი აქტიური მონაწილეობით შედგენილია არაერთი სტატისტიკური კრებული. დოც. ვ. პაპავა ეკუთვნის იმ ადამიანთა ჯგუფს, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს ქართულ საბჭოთა სტატისტიკურ მეცნიერებას და ენერგიულად იბრძოდნენ მისი შემდგომი განვითარებისათვის.

დოც. ვ. პაპავა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას უნარიანად უთავსებდა საზოგადოებრივ მუშაობას. მან თავისი უმწიკვლო მუშაობით, საქმისადმი დიდი სიყვარულით საერთო ყურადღება და პატივისცემა დაიმსახურა უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს შორის.

დოც. ვ. პაპავას ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მისი ამხანაგებისა და მის მიერ აღზრდილთა გულებში.

**ამხანაგების ჯგუფი.**

## ილაპარაკეს „პირველი სხივის" გარშემო



27 მარტს ფილოლოგიის ფაკულტეტმა მოაწყო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის ალმანახის—„პირველი სხივის" საიუბილეო ტომის (5—6) საჯარო განხილვა.

პროფესორ ს. ხუნდაძის სახელობის აუდიტორია ხალხით გაივსო. განხილვაზე მოვიდნენ მწერლები, მეცნიერები, სტუდენტები...

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ფილოლოგიის ფაკულტეტის პარტბიუროს მდივანმა ამხ. ო. ბაქანიძემ.

მოხსენებით — პოეზია „პირველი სხივის" საიუბილეო კრებულში — გამოვიდა დოცენტი გრ. კიკნაძე. მომხსენებელმა ილაპარაკა ალმანახში დაბეჭდილი პოეტური ნაწარმოებების ღირსება-ნაკლოვანებებზე.

დოცენტმა ვ. ციხკარიძემ თავის მოხსენებაში ვრცლად და კრიტიკულად განიხილა „პირველი სხივის" პროზა.

ალმანახში მოთავსებული ლიტერატურული კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის განყოფილების შესახებ საინტერესო მოხსენება წაიკითხა დოც. ი. ბოლქვაძემ. მან ღრმად და საფუძვლიანად გაარჩია ახალგაზრდა კრიტიკოსებისა და ლიტერატურათმცოდნეების წერილები და საყურადღებო კრიტიკული შენიშვნები გამოთქვა მათ ირგვლივ.

„პირველი სხივის" თარგმანების საფუძვლიანი ანალიზით გამოვიდა დოც. აკ. ურუშაძე.

მოხსენებათა შემდეგ გაიმართა გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

სიტყვებით გამოვიდნენ სტუდენტები — ნ. მგელაძე, რ. გორდეზიანი, გ. ჩარკვიანი; ახალგაზრდა კრიტიკოსები — ნ. ჩხეიძე, გ. ხუხაშვილი, კ. იმედაშვილი, ა. ალექსიძე. მათ საინტერესოდ ილაპარაკეს „პირველი სხივის" ღირსება-ნაკლოვანებაზე და გამოთქვეს საყურადღებო მოსაზრებანი ალმანახში დაბეჭდილი ნაწარმოებების გარშემო.

როგორც მომხსენებელმა, ისე კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ „პირველი სხივის" საიუბილეო წიგნის გამოსვლა მისასალმებელი და საყურადღებო მოვლენაა ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში, რომ უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრემ და ალმანახის სარედაქციო კოლეგიამ გასწიეს დიდი და დასაფასებელი შრომა წიგნის შედგენა-გამოცემაზე.

„პირველი სხივის" განხილვისადმი მიძღვნილი საღამოს მუშაობა შეაჯამა უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის ხელმძღვანელმა, საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის მდივანმა დოც. ბ. ჟღენტმა. მან აღნიშნა განხილვის სარგებლიანობა და ილაპარაკა ახალგაზრდა მწერალთა წინაშე მდგარ ახალ ამოცანებზე.

**გურამ ორჯონიკიძე**

რედაქტორი ირ. ვეშაპიძე

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, № 1. ტელეფონი 2-28-84.

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა-ლითოგრაფია. ი. ჭავჭავაძის გამზირი, № 1. ტირაჟი 500. 00871.